ფ.345

ფასი 15 კაპ.

ф 345

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფანფარები

№ 1—(4) | ხუთშაბათი 1 იანვარი 1925 წ. | № 1—(4)

სამზადისი და შეხვედრა.

1. სამი დღის წინათ

ჩვენი უფროსი დღეს რატომღაც
მწუხარე დადის...
ჩამოუშვია გრძელი ცხვირი,
(ნიშანი დარდის),
საქმეზე გული ვერ უდგება,
ხელში კალამი;
ვეღარ იტაცებს მბეჭდავ ქალის
ხედვა თამამი...
მისი ფიქრები დღეს უფრო ძნელ
საკითხს ეხვეა,
თორემ ხელიდან გაუშვებდა
ასეთ შემხვევას?..
თვითონაც ხარბად ჩახედავდა
ლამაზს სახეში...
მოუჯდება... წამოკრავდა
ყბას იმას, ამას...
კარნახთან ერთად, გაართობდა
მოწყენილ დამას...
დღეს კი ამისთვის არ სცალია,
ფიქრებში დადის...
შინ, სჩანს, შეუდგა საახალწლოს
ცოლი სამზადისს.
ამისათვის კი საჭიროა
ხომ იცით, ფული.
რაა ცოლისათვის ავანსებში
ქმარი ჩაფლული.
უფლის წყალობით მოვესწარით
წელიწადს ახალს;
ადამიანი ასეთს შემდეგ,
ვინ იცის, ნახავს?..
უნდა შეხვედრა მას ქეიფით,
შესაფერ ლხინით,
შემწვარ ქათმებით, გოზინაყით,
ტორტით და ღვინით.
არ ვარგა ამ დღეს, ყველამ იცის,
დაკლება რამის.
ილხინე, თუნდაც გაიყიდო
ბაზარზე ლამის...

2. ჩვენი თანაგრძნობა.

სტუმრებისაგან ძილს ვერ ნახავ,
(ვინ სჩივის ამის)
წაიღებს ეს დღე მთელ ჯამაგირს,
„ნაგრუზკას“ „ავანსს...
და ამის შემდეგ შენ იმ თვეში
იცოვრებ რითი?...
დადის უფროსი და თითებზე
რაღაცას ითვლის.
ალბად „იტოგში“ გამოვიდა
წყეული ნული,
რომ შეიკეტა კაბინეტში
დანაღლვლებული.
ჩვენ თანაგრძობით გავაყოლეთ
იმას თვალები.
ყველა ჩვენგანს აქვს ავანსები
და სხვა ვალები.
ვთქვით: აქეს ჩვენს უფროსს ჯამაგირი
საკმაოდ მსხვილი,
თანაც „ნაგრუზკა“ „ჩვენთვის უცხო,
სანატრი ხილი...
საკვირველია, რომ არ ყოფნის...
ავანსებს იღებს.
ალბად, ჩვენსავით მასაც ბედი
აღარ უღიმებს...
და მე მივმართე თანამშრომლებს
ქვითინით ხმაში:
— ამხანაგებო, ნუ შევარცხვენთ
ჩვენს უფროსს ხალხში...
ვუშველოთ, რომ ამ დღესასწაულს
შეხვდეს ღირსებით...
რომ ცოტა ფული მოვუგროვოთ
არ დავივსებით.
მო, დავივწყოთ ამ წლის ბოლოს
ყოველი ძველი...
თუმცა ხეირი უფროსისგან
არც აწი გველის!...

3. შეხვედრა.

აქ სიხარული და ქეიფი
ტირილი მტრისას...
თითქოს სიცოცხლე დაელია
საათზე ისარს.
სრულდება უკვე შუალამე.
ესეც თორმეტი.,

სიხარულისგან სტუმრებს თითქოს
დაესხათ რეტი.
არის ჭიქების შეჯახება,
მილოცვა, კოცნა.
სახე ანთებულ, უხვ მასპინძლებს,
არა აქვთ მოცლა.
თავთ ევლებიან მოწვეულებს,
ავსებენ ჭიქებს...
კარგს ნაპრებს სტუმრებს სთავაზობენ,
თავის თავს ჩლიქებს.
ამბობს თამადა სადღეგრძელოს
სადღეგრძელოზე...
ამ უქმეებმა ნამარხულებს
მოუსწრო დროზე,
თორემ პირდაპირ უსაქმობით
კვდებოდა კაცი...
ნასიმშილებით ეხლა მარტო
თუნდ მთელ ტიკს დაცლის...

4. დილას

გათენდა დილა. გიხაროდესთ
ახალი წელი!..
ბოთლებით სავსე მაგიდაზე
თვლემს მასპინძელი.
ძილში უეცრად ხელს წაივლებს
ხანდისხან წვერში..
ნეტავი აწი გასწორდება
როდისმე წელში?

სანუმატო.

P-7141

საახალწლო მილოცვები.

გაზ. „მუშას“.

პირველათ მოულოცავ
ჩემს მფარველს, გაზეთს „მუშას“
(იქნება „ტარტაროზი“
უფრო ვრცლად გამოუშვას).
ვუსურვებთ მუშკორები
ყოლოდეს წრეულს მეტი,
რომ უფრო უკეთესად
გახეტონ გასახეტი...

გაზ. „კომუნისტს“.

კარიკატურა, შარჟი,
თქვი, შეკეძულა რამა?..
ხარ მეზობელი „მუშის“,
და „ჩირაღდანის“ მამა...
შერეს კარში ძვირად უშვებ:
არ მოკ„ეწონს?.. ურჩობს?.. თუ რად?..
ორკვირეულის ნაცვლად
გახადე ორ თვიურად...

ახალ თეატრს

კვირაში ორჯერ-სამჯერ
გვიდგამ „ლენინორის ქალებს“,
სცენა სიცილით ტკბება,
ჩვენ ძილი გვიპყრობს თვალებს.
მოუელელობის გამო
ხომ არ გაგექცთ მეზა?..
ნუ თუ სცენაზე სიცილს
მონოპოლიას უზამთ?..

ძველ თეატრს.

გვეგონა მკვდარი იყავ...
მოგაცხსენ გულიდგან დარდი;
დადიხარ უბინაოთ,
„ტარდი“, „ოპერა“, „ტარდი...
მორიგი წარმოდგენა,
თქვენ, რომელ ადგილს წიგნ...
წეოს ანტრაქტებით ისევ
წვენს გვადენს წუწუნავ?..

კოოპერატივებს.

წრეულს „დუხების“ ფრონტზე
რა ტრაგედიის იქერთ? .
სოფელში დასაგზავნად
„დუხებს“ ხომ გადაირჩენთ?

ტრამვაის დირექციას.

შარშან ყოველ-დღე ახალს
უშვებდი ეგონს თითოს;
ახლად აგებულს ძველი
სჯობდა რითიმე ეითომ?..
ბილგიულ რთულ სისტემას
უპირისპირებთ „ადვილს“...
შეხვალ, დაჯდები, ფეხებს
ვერ მოუნახავ „დგილს...
იგრძნობ ამ ბედში ყოფნით
სიამოვნებას მრავალს;
ჩამოსვლა თუ იფიქრე—
ვერ ნახავ გაჩოსაყალს...
ვუსურვებ დირექციას,
(ჯერ დიდი გუდა ქების)
ამ წელმი წარმატებით
აეგოს „ხაფანგები“...

საქ კინომრეწვ.

ფოთიდან ირკ ტ.კამდის
ერთგვეარად გაქვებს ყველა...
ეძებ სცენარის სანთლით,
კონკურსმაც ვერ გიშველა.
რატომაც ქართულ ენას
გიხსენიებენ ავად;
ამ წელშიც ერთ სერიას
გაჰიმავს ერთი-სამად?..

უბინოებს.

მიდის დღე დღეზე... ხედავთ,
და წელმაც გაირბინა;
თქვენ კი არ გწყალობთ ბედი,
დღესაც არა გაქვთ ბინა
მაგრამ, მერწმენეთ, ძებნა
უქონოდ როდი ვარგა,
ამ საახალწლოს „პრობკას“ *)
გაუმასპინძლდით კარგად!..

„კომუნხოზს“.

როგორც მზრუნველი დედა
ციტრს დასტრიალებ მუდამ;
წმენდ, ასწორებ ქუჩებს,
სად უნდა, სად არ უნდა...

*) სახელწოდება ერთ შეამავლის ბინის თაობაზე. „სოლეილის“, კირდაპირ, სპასელის სარ.ოდ.

ახალი ფეტვა

(ფარეი)

მოქმედნი:

იესო.
მთავარ-ანგელოზი.
მაგდანელი.
ახალმკავშირელი.

სცენა: იესოს კაბინეტი—სადღესასწაულოდაღ მორთული.

იესო ზის და მაგდალინელი სუფრას ჰშლის. მთავარ-ანგელოზი კარებთან სდგას მახვილით.

იესო: დღეს ჩემი დაბადების დღეა. მე ეხლა უკვე ათას ცხრაას ოცდა ოთხი წლისა შევიქენი, ესე იგი, მოკლედ, ოცდა ოთხი წლისა. რას იტყვი ჩემო მერი, ხომ ახალგაზრდა ვარ ჯერ კიდევ?

მაგ-ნელი: ო, ბატონიშვილო! ისევ ისეთი ბრძანდებით, როგორიც გნახეთ, პირველად, გენისარეთის ტბაზე.

ისეო: შენ რაღას იტყვი მიხა?

მთ.-ან-ზი: ბატონიშვილი მიცოცხლოს დიდხანს; ისე ჰყვავით, როგორც ვარდი, სულ ყინჭლილივითა ხართ, ჩემმა მზემ, რაღა!

იესო: (მხარზე ხელს დაადებს) ვიცი, ვიცი მიშკა, რომ გიყვარვარ და პატივსა მცემ. ამისათვის, ნიშნად ჩემი სახელწოდების, დაბადების დღისა, გაჯილდობ—გნიშნავ ჩემს პირად ადიუტანტად და გიბოძებ წმინდა გიორგის ჯვარსა, აბა, მერი!

მაგ-ნელი: ამ წუთში. (პატარა ყუთს მოუტანს).

იესო: (ამოიღებს ჯვარს და ჰკიდებს მთავარ-ანგელოზს, გულზე). იყავ კვლავ ერთგული და მცველი სამოთხის კარისა.

მთ.-ან-ზი: მესმის ბატონიშვილო! ვეცდები! (ხმალს შეათომაშებს ნიშნად პატივისცემისა)

იესო: მერი, სუფრა მზადაა?

მაგ.-ნელი: მზად გახლავს ბატონიშვილო; ღვინოსაც ეხლავე მოიტანს სვიმონ და პეტრე; უკვე კარგა ხანია რაც სირაჯხანაშია წასული, ტიკ-ჭორით...

იესო: ჰო... მამამ გაიღვიძა?

მთ-ან-ზი: დიახ; წელან სადლაქოში იყო, ჰირს იკეთებდა.

იესო: ძმები სად არიან?

მთ-ან-ზი: ბუდდა საავადმყოფოში წევს, კუბი ასტეენია მეტი მოკენტვისაგან! მოსე როტშილდს დაუბარებია რადაცაზე და იქ გიახლათ, ამბობენ მუშების დასამშვიდებლად შუამავლად უნდა დანიშნოსო; მ.ჰ დი კი გუშინ წინ შემოახტა თაბის არაბულ ცხენს და ალმოს ვლეთისკენ მოჰკურცხლა, გაუგია რომ იქაური ერებს გ ნუზრახავთ დამონაეებელ იმპერიალისტების წინააღმდეგ აჯანყეკი, თავისუფლებისთვის ბრძოლა და მათ დასატუქსად წაიდა—არ უნდა მასცეს ამისი ნება მათ. რადგან მუსაიატელებს, ფაშებს, სულთანს, ხალიფს და ყველა ხ ნს ასე სურთ, არ უნდათ ინგლის—ფრანგ ბურჟუაზიის წყენაო...

იესო: (ბაუზა). მაშ ისინი ვერ დაესწრებიან ჩემს ზეიმს?

მთ-ან-ზი: როგორც ეტყობა.

იესო: სთხოვე მამა-ჩემს — და ყველა წმინდანებს.

მთ-ან-ზი: მესმის! (გადის. შორს ისმის ყრუ გუგუნი, და საყვირი)

იესო: ო, ჩემო მერი! ძლივს მარტო დავრჩით, ჩემო სიცოცხლეე (დაჯდება. მუხლზე დისხვამს).

მაგ-ნელი (ოსკა! გენაცვალე, ეგრე მაგრა ნუ მკოცნი...

იესო. (მღერის): ო, მერი, მერი—
მე შენ გიმღერი...
ჭირი-მე შენი,
შენი ხარ მშვენი,
შეიღლო!

იესო: რა ამბავია?

მთ-ან-ზი: ისინი... ისინი... (კედელს ეყუდება დასუსტებული)

ორივე: ვინ „ისინი?!"

მთ-ან-ზი: კომსომოლები!

იესო: ეი-მე!!! (ბ გდალინელის კბის ქვეშ აპირებს დამალვას),

მაგ-ნელი: ოსიკო! გენაცვალე, აქ ეხერხულია—აი, ტახტის ქვეშ დაიმალე... (იმალება, მაგდალინელი კუთხეში აიტუზება).

მთ-ან-ზი: შეპოგაიტიეს... თაჯარდაცემული ჩვენი ანგელოზთა რაზმები პირველსაც შეტევაზე გაიფანტენ. გადაეიხედე და, ოი გამჩენო, ის ეშმაკები თქვენს მაგიერ თავიანთ შობას დღესასწაულობენ; ყველაფერს ცეცხლი უკიდია.

იესო: ეაა, ვაი ზერე და შე ყურუმსაღლო, აქამდის რატომ არ მითხარი?! მარიკო, შენ მაინც მიშველე რამე!?

მაგ-ნელი: ეი, ქაა, დამიდგეს თვალი! ქაჯან, აბა მე რა უნდა გიშველო, ქალმა? კაცი ხარ და შეებრძოლე.

იესო: ვა, რას ამბობ ქალო? ასე ბგონია პრასი ვიყო და მეორეთ ამოვიყრი; მოსდა და ერთი მაგარი მდრუბეს—მიქელ-გაბრიელიც ვეღარ მიშველის მაშინ.

მთ-ან-ზი: ზარბაზანში ჩაუსვიათ ერთი ყველაზე თავხედი თავიანთი ამხანაგი და ამოესვრიათ აქა, იგი მუსრს ავლებს ყველას; მაგრ თქვენთან შევარდა,—ალბად აქაც გეახლებათ!

იესო: მიხაჯან, კარებები მაგრად გადარაზე.

მთ-ან-ზი: ბატონიშვილო, წინააღმდეგობის გაწევა

ვერაფერს გვიშველის. შერიგება რომ გვეთხოვა, ემჯობინებოდა.

იესო: ყველაფერს მივცემ, ოღონდაც თავი დამანებონ. მაგრამ არა, მე ვარ ვენებ ამათ! (ისმის გრიალი) ამა ერთი დავიმალო კარგად... ეაიიმე!! რა მეშველება.

მაგ-ნელი: მიშველეთ!..

კომკავშირელი: (შემოვარდება ანთებულ ჩირაღდნით და წიგნით ხელში. წითლად გაბათდება. მთავარ-ანგელოზი მახეილს მოუქნევს, მაგრამ ის ჩირაღდანის დარტყმით შეხვდება—მთავარ ანგელოზი ფანჯარაში გორბის).

იესო: კიდევ კარგი, რომ აქ ვერ მამჩნევს...

მა-ლი: როგორ ლამაზია ეს კომსომოლი. ნეტა ერთი..

კომკავშირელი: (ყველას შიშით აკანკალებს).

ჩვენ ავაფეთქებთ ძველს მსოფლიოს, დინამიტებით, და ცრუმორწმუნე სარწმუნოებას ჩავუშვებთ საფლავს; მეცნიერების ჩირაღდანს ავსწვეთ სულმაღლა —ამოვანათებთ ხუთქიმიან კომუნის ვარსკვლავს.

ხალხთა მონობის ძველ ღმერთებს ავაყირავებთ— ჩვენ გვსურს მოვფინოთ ქვეყანაზე სინათლე, ძმობა და წითელ დროშით დაკოცნილი მოგვაქვს მზის შვება —ისმინეთ: დღეს არს კომსომოლის წითელი შობა!..

(ფ ა რ დ ა).

სიუზანა.

„ის ქალი"

სოფლის ეკლესიაში წირვის დროს დიაკონი ეხმარება მღვდელს და შიგადაშიგ ესაუბრება თავის მეგობარს:

— ამბავკო, სხვა ხომ კარგად ხარ სახლში? ა-ა ა-ა-ა-ამინ .. ძალიან დავითვერით იმ ღამეს ყარამანისას... უ-ფა-ლო შე-ვვი წყა-ლენ... არ მახსოვს, როგორ მივედი სახლში... შე-ე-ენ უ-ფა-ა-ლო... იმ ქალის ჯავრი დღესაც არ მასვენებს... უ-ფა ლო შე-ვვი-წყა-ლენ... როგორ ატყობ, გამოდნება რამე?..

ვა-კურ-თხენ მე-უ-ფე-ო... ერთი მისი გათელვა რითაც ვიწდა ღირს... ა-ა-ა-ა-ა-ა-ამინ... იმ ღამეს არაფერი მოხერხდა, მაგრამ... მო-ვვა-ღლენ უ-ფა-ლო... ამბერკი მოგიკვდეს, თუ იგი ხელიდან გაუშვას... ვვა-კურ-თხენ მე-უ-ფე-ო...

ამბერკი მართლაც იმავე საღამოს შეჯდა მღვდლის ჯორზე და გაემგზავრა მეზობელ სოფელში ყარამანისას, სადაც ეგულებოდა „ის ქალი".

კიკო

უწინ

როცა კვერცხებს აგროვებდენ
და ტვირთავდენ ჯორსა.

დღეს ხომ იცი მათ საყდარი
როგორ გაუხუნდათ,
ამა ეხლა ის სად არის...
დრო გადაუბრუნდათ.,

საყდრები თუმც დაუბრუნეს,
მაგრამ საკურთხები!?
შიგ ილოცონ, ჰქნან რაც უნდათ—
ამალახონ თხები..

ამა ბიჭო გადაგვკოცნოთ
ძმურათ ერთმანეთი.
გასული შორს გადავტყორცნოთ
მღვდლებს ვაჩუქოთ ღვერთი.

ჯ. ობოლი.

მოლოცვა

მოდი ბიჭო მოგილოცო
დღეს ახალი წელი.
მომე ტუჩი გადაკოცნო
ვითარც წესი ძველი..

ხომ გახსოვს რომ ასე იყო.
წინათ ჩვენი წესი.
წირვათ უნდა დამდგარიყო
ეს ჩვენი ხუცესი..

საკურთხებიც კი მიჰქონდა
ფოფოდიას ბედზე;
მაშინ ღიპი ღიპზე ჰქონდა,
დღეს მიკერიათ ფერდზე..

პილასიც ხომ დიაკონი,
მისი მარჯვენა ხელი.
კარვათ იცი ისიც მგონი
საკურთხები ცხელი.

რომ მოქონდათ ორივესა
დატვირთული სახლში.
ამა შეხე იმათ დღესა—
დგანან ცეცხლის ალში..

მწუხარებით იგონებენ
იმ სანატრელ დროსა,

ეხლა

„ᲬᲛᲘᲜᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲒᲐ“

ეკატერინოსლავში ქალაქის გმნაპირა რაიონში გაასამართლეს მუშების თანდასწრებით „წმინდა სამეგა“.

მათ შორის ერთი თავისთავს „ღმერთს“ უწოდებდა და ორი — „წმიდანებს“.

გამოირკვა, რომ „ღმერთი“ (ყოფილი კულაკი) და ერთი „წმინდათაგანი“ დიდხანს ყოფილან სულით ავათმყოფთა სამკურნალოში.

სასამართლოს დადგენილებით ავათმყოფი „ღმერთი“ და „წმიდანი“ ისევ გაგზავნეს საავადმყოფოში, ხოლო მეორე „წმიდანს“ შვიდი თვით ციხეში დაპატიმრება მიუსაჯეს.



ᲚᲘᲙᲕᲘᲓᲐᲪᲘᲐ

ტფილისიდან სტუდენტის წერილი მეგობარ სტუდენტთან სოფელში.

კოლია, შენი წერილი მივიღე. იწერები, რომ ახალწლიდან გინდა უნივერსიტეტს დაუბრუნდე და ამისათვის მითელი თხოვნა შეეიტანო სამპოში, რათა ისევ მიგიღონ.

ბიჭო, ხომ არ გაგიჟებულხარ?! ბედმა გაგიღიმა, „ჩისტკაში“ მოხდი და გამოგაგდეს; შენ შეგიძლია თავი იმართლო ყველას წინაშე. ვინ რა იცის, რომ აქ მაინც არაფერს აკეთებდა ტყვილად დატენტერობდი და ქუჩებს ტკეპნიდი.

ეეხ! ძმაო, ნეტავი შეც გამოყენისტკე; ეხლა შეც შენსავით მაძღარი ვიქნებოდი. მამა შენი თუ არ გამაღლის მის ნამუშევარ მუჭას, არც მე დამამაღლებდა მამა ჩემი. ეხლა სირცხვილში ვარ; იმათ ჭგონიათ, რომ მე აქ ვსწავლობ და ის კი არ იციან, რომ ეწვალობ.

მთელი ზაფხული აქ გავატარე. კი იცი ჩვენ ოთახი როგორია. ზაფხულში კედლის ტილები მოსვენებას არ მაძლევდენ. როცა წამქინებოდა იერიშით მოდიოდენ. ეეძალებოდი, მაგრამ სად უნდა დავმალოდი ჩემს ერთ ცოდა ოთახში...

ერთხელ ასეთი ხერხი მოვიგონე: ლოგინი (რა ლოგინი მაქვს შინ კი იცი: ერთი გაფხეკილი ლეიბი და ერთი დაკონკილი საბანი) მაგიდაზე გავშალე, მაგიდის ფეხები ნავთიან კოლოფებში ჩავდგი.

შენ კითხავ: ნავთი სად გქოდაო?..

ლამფის შუშას ლიკვიდაცია უყავი, ახალ ხომ ვერ ვიყიდდი; რაც ნავთი დარჩა ლამპაში იგი ჩავასხი კოლოფებში.

ამ ხერხმა კარგი შედეგი მომცა.

ნაშუადამემდე გვარიანად მეძინა; მაკრამ ჩემს მოსისხლე მტრებს ჩემსავით გამოენახათ ხერხი: თურმე აკოცდენ კედლებიდან ჭერზე და იქიდან პირდაპირ ჩემს ლოგინზე სკუპდებოდენ. ხომ ხედავ რა გამბედავები ყოფილან?

ასე რომ ზაფხულის განმავლობაში ერთხელაც არ დამიძინია ტკბილად.

ამას ისიც ემატებოდა, რომ ჭერებს ზემოდ ვირთხებს ყოველთვის დოლი ჰქონდათ გამართული. არ იფოკრო თითქოს ვირთხები ჩემს ოთახში ყოფილიყონ. ჩემთან რა უნდათ, როცა ოთხში ჰურის ნამცეცს ვერ ნახავს. ერთი საწყალი თაგვი, რომელიც შემოჩვეული ყოფილა და სხვაგან წასელა ვერ მიხედა, სიმშილით გარდაიცვალა. ეს მე ენახე, როცა ჩემი ოთახი აყროლდა დამპალი თაგვით, თორემ ისე ვერ ენახავდი, რადგან ოთახს არასოდეს არ ვგავ ცოცხის უქონლობის და უფრო სიზარმაცის გამო.

ზამთარს ენატრობდი მე სულელი.

აჰა, ზამთარიც არის, მაგრამ ეაი ჩემი ბრალი. ეხლა კიდევ უარეს მდგომარეობაში ვარ.

ზაფხულში შარვლის და ბლუზის ამარა ვიყავი, (თეთრეულმა მოგვამა ჰირი)... ხომ შეეძლებელია ასე ყოფნა. ერთი ადამისწლის ქეჩის პალტო მაქვს. ცეცხლი – დასანახავად მენატრება. ხელებს სულით ვითბობ, მაგრამ სულიც გაყინული მაქვს. ქარი ჩემს ოთახში არხეინად ნავარდობს.

მართალია, ამ ყინვების გამო კედლის ტილების სრული ლიკვიდაცია მოხდა, მაგრამ მეც გამიყინა ძვალი და რბილი და ამის გამო, სულერთია, ღამით ძილი მაინც არა მაქვს.

დღითი არა მიშავს (გარდა კვირა დღეებისა) სამ საათამდე რომელიმე დაწესებულების კარიდორში დავდივარ, თითქოს საქმეზე ვიყო მისული. საღამოობით თეატრებს ვესტუმრები, ვდგანვარ ბილეთების რიგში, თითქოს თეატრში მივდივარ..

ასე, ამგვარად დღით ვათბობ გაყინებულ სხეულს. ჩემსავით ცივი სისხლი თევზსაც არ ექნება.

ლ.ქციებზე ვერ დავდივარ. ცარიელი კუჭით და გაყინული ტვინით რა უნდა ვქნა?.

როცა დაეწყები იმის ფიქრში ვარ, თუ ხვალ ხად წავაწყდე საჭელს და ჩვენს სასადილოში სასადილო ფული ვისგან ვისესხო.

რაც შეეხება სამსახურს მდგომარეობა ასეთია:

სამი წელი მისრულდებოდა რაც შრომის ბირჟაში ვიყავი ჩაწერილი სწორედ იმ დროს, როცა მას ლიკვიდაცია უყვეს. თუმცა იქიდან მაინც არაფერი ხეირი გამოდნებოდა, მაგრამ მაინც მეწყინა, რომ ამოდენა შრომა და რიგში დგომა ფუჭად ჩაიარა.

მხოლოდ ერთხელ გამოლიმა ბედმა.

როგორც იქნა ვიშოვე მასწავლებლობის ადგილი წერა-კითხვის უცოდინარობის ალიკვიდაციო კომიტეტში. მაგრამ მალე, როცა წერა-კითხვის ლიკვიდაცია უყავით, მეც ლიკვიდაცია მიქნეს; ეხლა ისევ თავისუფალი ვარ ყოველ მხრივ და მეც გუშინ კინადამ ლიკვიდაცია უქენი ჩემს თავს.

მწერ, თუ როგორ არის ჩემი რომანი. გიჟი ხომ არ ხარ? რა დროს რომანია, როცა ზურგს ნაგულათი ვიფხან.

ასეთია ძმაო ჩემი მდგომარეობა და შენ რომ აქ წამოხვიდე, მერწმუნე, ასეთი ბედი მოგელის.

იყავი სახლში; ამ საახალწლოდ ღორის ქონი ბევრი გექნება; დაჯექი, ჭამე და მენც ღორსავით გასუქდები... რა გინდა მეტი?

თუ მეღორსა და ჩისტკა დარჩა, როგორმე ვიშოვნი პროტექციის და თავს გამოვაჩისტკინებ, თუმცა პროტექციაც არ იქნება საჭირო ისე მომიწევს ცხოვრებაში ეს ერთადერთი ბედნიერება.

ასე, ძმაო... არ გაგიწყრეს ღმერთი, არ შეგიჩნდეს ეშმაკი და აქეთ ჰირი არ იბრუნო.

შენი ზმუკი.

„ფულები“

მირბის, მიმაფრენს მე ფულებს სასადილოსკენ,
უკან მომდევენ მეგობრები, მორბიან ჩემსკენ,
გასწით ფულებო, მაგ თქვენ ხარჯვას არ აქვს საზღვარი,
მიკიტანს მიეც ფიქრი ჩემი ლვინით მდელვარი.
გაჰკვეთე ჯიბე, აპოყე თავი,
სასადილოსკენ გადამარბინეთ:
ბასწით, გაჰკურცხლეთ ჩემო ფულებო,
სასადილოში მთვრალი მაძინეთ.
ნუ შეუდრკებით, ჩემო ფულებო,
ნურც სიძვირესა, ნურცა ხარჯვასა;
ნუ შეიბრალებ უფულობისგან
თავგანწირულსა თქვენსა ფლანგვასა.

ხაშურელი „შმაილა“

„რეპერტუარი“


ბმირი
ბმირი
ბმირი
ბმირი
ბმირი
ბმირი
ბმირი
ბმირი
ბმირ
ბმირ
ბმირ

სხვა. რაც შეეხება ჰიქებს გაურჩეველად ყალიბისა არა თუ გაუქმებულ იქნეს, არამედ განადგურებულიც.

შენიშვნა: ზემო ჩამოთვლილი გაუქმებული სასმისებიდან შეიძლება დარჩეს ხმარებაში დედაკაცებისათვის ყანწი, აზარფეშა და ჯიხვი.

მათ მაგივრათ შემოღებული იქნას ღვინის სმა ტაშტებით, ლაბანკებით, ვარცხლებით, ჩაფებით. სასურველია დაილიოს ღვინო, ნოეს კიდობნითაც რომლის შესაძენათ ექსპედიცია უკვე დაიძრა არარატისაკენ.

როგორც ხედავთ მიზანი ფრიად კეთილშობილია. მაშ ვესურვოთ ნაყოფიერი მუშაობა.

თქვენ კი, ძვირფასო ტარტაროზო! სასურველი იქნება გახდეთ მათი შეფი, რომ წყალობა არ მოაკლოთ.

ალავერდი.

—:—

დეპეშა.

ფრთი. „გინდა რა გინდა"-ს პარტიამ ამა წლის 10 ნოემბერიდან დაიწყო თავისი საზამთრო შეტევები: პირველი გააფთრებული იერიში მიტანილ იქნა მაკალათიას სამიკიტნოზე. იერიში სრული გამარჯვებით დამთავრდა. დამარცხებულის მხრივ ტყვედ ჩავარდა 23 მანეთი ნისია.

ალავერდი.

„შემოსავალი"

არსებობს რკინის გზის ერთი დაწესებულება, ე. წ. **საშემოსავლო ნაწილი**. ეს სახელწოდება ნამდვილად (ჭეშმარიტად) შეესაბამება ამ დაწესებულებას. თუ სადმე ვინმეს არ გლეგულობენ და არ ეარგ ხართ, აქ მიგიღებენ და იყარგებ. გამოიარეთ, შედით შიგ და იმსახურეთ. ასეთ ხალხისაგან შემდგარმა თაიგულმა 13.000 მანეთს ყლაპი უქნა, რადგან, მათი მოსაზრებით, რკინის გზას მაინც ბევრი შემოსავალი აქვს. მართალია, მთლად არ შეარგო რკ. გზის ჩეკის უფროსმა ქავთარაძემ ეს დიდი და გემრიელი ლუკმა და მოათავსა ჩეკის კუპეში, მაგრამ ისინი მაინც ბედის კმაყოფილნი არიან.

საშემოსავლო ნაწილში თუ ერთი მხრიდან გადიან, მეორე მხრიდან უფრო მეტი შემოდიან. მაგარი შტატის უქონლობის გამო, სამსახურიდან ითხოვენ მათ, რომლებიც გზეთებში არ ყოფილან „შექებულნი" და ტოვებენ მათ, რომლებიც არა ერთხელ ყოფილან მუშკორების მიერ „შექებულნი"

დიდი ხანი არ არის რაც ამ ნაწილის გამგეთ დანიშნულია ირემაძე და ამბობენ, რომ თუ კვარაცხელიამ ხელი არ შეუშალა, საქმეს მკვიდრ ნიადაგზე დააყენებსო.

აქ არსებობს კულტკომისია ნ კაცისდან შემდგარი, მაგრამ ბევრი საქმე აქვთ და ამიტომ ნ კაცის მომატებას თხოულობენ. ჯერჯერობით სამკითხველო არ არის გახსნილი, იმართება მხოლოდ კრებები.

გაზეთების გამოწერა დავალებული აქვს თავაძეს თუმცა მისი გვარი კი ამბობს, რომ მას თავი აქვს, მაგრამ საქმე ამტკიცებს რომ იგი უთავოა. ორი გაზეთი თუ გამოიწერე და ერთი მიღე—ესეც კარგი საქმეა.

ასე ხდებოდა საშემოსავლო ნაწილში დღემდე. ვნახოთ ახალი წლიდან როგორ გამოსწორდება საქმე.

გ. ბიორგიშვილი.

მოწერილი სამგზები

სოფ. კვალითი.

ადგილობრივი ექიმი (იგივე შვიდწლედის მასწავლებელი) იაკი ოდიკაძე დიდი ხანი არ არის რაც მოევლინა სოფ. კვალითს. საექიმო ფაკულტეტი ისე დაუმთავრებია, რომ უნივერსიტეტის კარები არც კი უნახავს. (ალბად მეტად ბეჯითი და ნიჭიერი იყო.) მისი საექიმო კაბინეტი მოწყობილია ყოველ გვარი საჭირო ნივთებით: ოთხი გაფხეკილი კედელი, ქვევით მოტალახებული იატაკი, ზევით ჭერი ობობების ქსელით მოჩუქურთმებული, შუაში ხის სკამ, ხელში დიაგნოზი, რომელიც ბავშის შიბაქს ჩამოგავს; გარდა ამისა, რაც ყველაზე უფრო შესანიშნავია—გასასინჯავი წერაქვი თუ ჩაქუჩი, შეძენილი ტფილისის ერთ-ერთ სამკედლოსაგან.

როცა ჩაქუჩით დაუწყებს სინჯვას, გეგონებათ

ელდეზე ქვებს სტეხსო. ავადმყოფის ყვირილი შორაპანში ისმის. ექიმს ჰგონია, რომ ნახა სატკივარი და უმატებს ჩაქუჩის ცემას, თითქოს უნდა სატკიკარს ჩაქუჩით გაუტეხოს თავი.

მისი რეცეპტით ჭირისუფალი აფთიაქში შესვლას ვერ ბედავს.

ავადმყოფი დაიმედებულია განკურნებაში და სიცოცხლეს დამშვიდებით ესალმება (ესეც კარგი ნიშანია).

მოსახლეობა თავის გულში ჩუმ მადლობას უცხადებს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს.

პროვინციელი

ნოფ. ონოლია.

შრომის სკოლის გამგემ ვასილ ჯიქიამ (ხალხი მას „ბედაურს“ ეძახის) პირველმა ააფრიალა დროშა შემდეგი ლოზუნგით: ნებაყოფლობით შერთვასა სჯობს მოტაცება ქალისა.

ალბად მას ესაპიროებოდა ასე.

მახლობელი მასწავლებელი ქალი მან გაიტაცა ყანაში (ეს ამბავი აგვისტოში მოხდა). სამი დღე და ღამე დაჰყო ვასილ „ბედაურმა“ ჭალებში და სიმინდებში. ქალის ძინინანობამ წინ აღუდგა ვასილის კეთილ განზრახვას და გამოეპარა “ბედაურს“.

ვასილს ამ საქმეში მეგობრულ დახმარებას უწევდა მელიტონი“ რომელიც კარგად ცნობილია ავლაბარში. მელიტონი პირადი საქმეების გამო „არასოდეს“ მჯდარა ციხეში, იგი სასტიკი მოწინააღმდეგეა მაგარი სასმელების, რომლის შესამცირებლად თავის საბრძანებელ სოფელ ონოლიაში ყოველთვის გალეშილია; გლეხების ოჯახებში მუდამ დაუპატიჟებელი სტუმარია.

ვინ იცის, იქნებ ვასილი და მელიტონი ასეთ საგმირო საქმეებს ვერ ჩაიდენდენ, რომ ქობულია არ სწყალობდეს მათ.

ნოღისპირელი.

ნიგვზიანი.

ბოროტი ენები ამბობენ, რომ მასიკოს გარდა ყველამ ჯამა ხიზილალაო და ამიტომ სამტრედიის ცეკავშირმა იზარალაო.

ჯუმათი.

ნიკო სხვიტარიას საქორწინო დამზღვევი სალაარო სამტრედიიდან გადატანილია ჯუმათში, სადგურის შენობის მეორე სართულში. კანტორის გამგედ დანიშნულია ქ-ნი ლოლა ჭყონია, მოლარედ ბუჭუკა აფხაზავა. შეყვარებულთა მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8 საათიდან ნაშუადამევის 2 საათამდე როგორც სალაროში, ისე სადგურის ბაქანზე და სადგურის უფროსის კაბინეთში გამგის თანდასწრებით.

პირველ რიგში დასაკორწინებლად დგანან ნ. ჩხარტიშვილი და თ. შარაშიძე, რომლებსაც მიეცათ მზითვად ორი ათას ხუთასი მანეთი და სხვა საოვაგე.

ხუშტური.

სენაკი.

თანახმად მომრიგებელ კომისიის დადგენილებისა ქალაქის და რკინის გზის დასს ევალება იმოქმედონ შეთანხმებით და შეერთებული ძალით კვირაში სამჯერ: ხუთშაბათს, შაბათს და კვირას გამართონ წარმოდგენები.

რეპერტუარიდან განდევნილია ოთხმოქმედებიან ნაკლები დრამა და კომედიები.

ორივე დასს შოოის მოხდა სრული შეთანხმება. პ[illegible]ის პირველი ნახევარი ხუთშაბათობით იდგმება რკინის გზის თეატრში, მეორე ნახევარი კი—შაბათობით ქალაქის თეატრში; ხოლო მთელი პიესა კვირაობით ისევ რკინის გზის თეატრში.

რეპერტუარს შეადგენს „მეფის დალაჯ“, რომელსაც ცოტა მუშაობა სჭირია და ფული კი ბლომად შემოაქვს.

რეჟისორად მოწვეულია ინდაური თარალოვი.

ან — მო.

მუქთა-ხორბის ჯიდეე არის
წის-ადათები.
ახალ ცხოვრებას ზიანს აძლევს
მათი თმთები.

ახალი წელი რომ მართლადაც
იყოს ახალი.
უნდა მოისპოს სამუდამოდ
ძველი დომბალი.

ეუმორისტული დამატება გაზეთ „მ უ ე ა“-ს „ტარტაროზი“ დაურიგდება უფასოდ ყველა ხელის მომწერლებს.

პასუხისმგებელი რედაქტორი სარედაქციო კოლეგია

ს. ს. მ. უ. ს. ტიპოგრ. ტრესტ. 1-ლი სტამბა, პლეხ. № 91. მთავარლიტ. № 2295. შეკ. № 2538. დაიბ. 10.000.

ფასი 10 კაპ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ბანბანური

№ 2—(5) | კვირა 18 იანვარი 1925 წ. | № 2—(5)

მავნე პირებსა ვეძებდი
ვერ ვნახე დაკარგულიყო,
სასამართლოში შევედი
ყველა იქ მიმალულიყო.
იქ თბილი ბუდე ეპოვნათ
ძველ ჩინოვნიკებს, ვექილებს,
შავსაქმეებში ცნობილებს,
ხეცებს და გამოქექილებს

ვიპოვნე, უთხარ მადლობა—
მათ კი დაიწყეს კანკალი:
არ შევიბრალე და ყველას
მოუსვი ჩემი ჩანგალი.

გადავისროლე ჯოჯოხეთს
დავშორდით ერთი-მეორეს:
ან მათ საქმეებს საგმიროს
სხვა ვეღარ განიმეორებს.

ინსტრუქცია.

„ტარტაროზის“ თანამშრომელთათვის.

თავი I.

ეს ინსტრუქცია სავალდებულოა ყველა მათთვის, ვისაც სურს „ტარტაროზის“ თანამშრომელი გახდეს და თავისი ნაწარმოები,—ლექსი იქნება ის, პროზა, თუ კარიკატურა, —იხილოს მის ფურცლებზე დაბეჭდილი.

ამ ინსტრუქციის ფარგლების გადალახვა შეიძლება მხოლოდ მარცხნით და არა მარჯვნივ,—ესე იგი გაუმჯობესებისა�, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არა დამახინჯებისკენ.

ეს ინსტრუქცია არ არის სავალდებულო მათთვის, ვინც სიპატიო მიზეზების გამო, მაგალითად: წერა-კითხვის უცოდინარობის, ღვთისმორწმუნეობის, ან მენშევიკური წვენით გაჟღენთილობით, არ თანამშრომლობს „ტარტაროზში“.

ეს ინსტრუქცია არ არის სავალდებულო, მაგრამ მხედველობაში მისაღებია ყველა მათთვის, ვისაც სურს სიპატოთა აღმშენებლობისთვის ხელის შეწყობა, მაგრამ ისე რომ ამ სამოქალაქო მოვალეობის შესრულების დროს ცხვირპირი არ ჩამოსტიროდეს, არამედ მხიარული სიცილ-კისკისით ეწეოდეს მას.

ეს ინსტრუქცია აგრეთვე არ არის სავალდებულო უკვე სახელმოხვეჭილ და დამსახურებულ ოხუნჯებისათვის, რომლებიც, სულერთია, მაინც არავითარ ინსტრუქციას არ დაემორჩილებიან, გარდა თავიანთი ნებაყოფლობისა.

თავი II.

„ტარტაროზის“ თანამშრომლებმა პირველ ყოვლისა უნდა იცოდნენ წერა-კითხვა,—უფრო კი წერა, ვიდრე კითხვა.

შენიშვნა: გაეროვნების ცხოვრებაში გატარების მიზნით სავალდებულოა ქართული უნა.

თანამშრომელთათვის არ არის სავალდებულო ამა თუ იმ უმაღლეს თუ დაბალი სასწავლებლის კურსდამთავრება და წერა-კითხვის ამა თუ იმ მეთოდით შესწავლა*). საქმიროა მხოლოდ გარკვევით წერა და ნიშნების თავთავიანთ ადგილას დასმა, მაგრამ ეს უკანასკნელი თუ არ ეხერხებათ ზოგ თანამშრომლებს, იმ შემთხვევაში თითონ ტარტაროზი კისრულობს მათ გაწესრიგებას.

კარგ ქაღალდზე კარგი მელნით წერა არ არის სავალდებულო, მაგრამ სასურველია. უკეთუ თანამშრომელი მოკლებულია ფუფუნების ამ ორიეე საგნებს, იმ შემთხვევაში დასაშვებია ყოველნაირი მელნით, თუნდა შავი თუთის ან მაყვალის წვენით და წვერწათლილ ნახშირით წერაც.

მხოლოდ ქაღალდს ვერაფერი შესცვლის. შეიძლება გამოყენებული იქნეს გაუქმებული ბონები*), რომლებიც თეთრ ქაღალდზე უფრო იაფი ღირს.

წერა შეიძლება დღისით მზისით, მაგრამ თუ თანამშრომელს დღე მოცლა არა აქვს, ან რაიმე სხვა მიზეზით არ ეხერხება მზის სინათლეზ წერა, იმ შემთხვევაში შეუძლია სწეროს ღამეობით, მაგრამ ესეთუოდ ნავთის ან კვარის სინათლეზე. ნავთის ყიდვა შეიძლება ადგილობრივ კოოპერატივში, თუ კი მას ცეკავშირის ვალი გადახდილი აქვს და ღებულობს მისგან საჭირო საქონელს. წინააღმდეგ შემთხვევაში კოოპერატივს არც ნავთი ექნება და არც სხვა საწერი მასალა, რის გამო დასაშვებია კერძო ვაჭრისადმი მიმართვა, რაც ერთი-ორათ ჯდება. შესაძლებელია აგრეთვე, რომ იმ რაიონში, სადაც თანამშრომელი ცხოვრობს, სრულებით არ იყოს კოოპერატივი. იქაც თანამშრომელს შეუძლია მიმართოს კერძო ვაჭარს და საქმე არ დაიბრკოლოს. გაწეული ხარჯების დასაფარავად „ტარტაროზისგან“ მიიღებს გონორარს არა ნაკლებ ოთხი კაპეიკისა სტრიქონზე,—რა თქმა უნდა იმ შემთხვევაში, თუ მასალა ღირსი იქნება დაბეჭდვისა.

თავი III

პირველ ყოვლის შემდეგ თანამშრომლებმა მტკიცედ და ბეჯითად უნდა დაიმახსოვნონ, რომ „ტარტაროზი“, მიუხედავად თავის საშინელ სახელწოდებისა, მეტად ოხუნჯია და ყველა საგნებს ოხუნჯური თვალსაზრისით და კილოთი უდგება.

დიდი ბრიტანეთის მეფე თავისი ლორდებით და მინისტრებით, საფრანგეთის, გინდ გერმანეთის პრეზიდენტები თავიანთი ბურჟუა ბანკირებით და ფაბრიკანტებით, რომის პაპა და სტამბოლის მსოფლიოს პატრიარქი თავიანთი კარდინალებით, ქსენეზებით, ეპისკოპოზებით და ბერ-მონაზონებით და სხვა და სხვა სულიერი და ხორციელი ძლიერი გვამები ამა ქვეყნისანი ტირტაროზს იმდენად მიაჩნია საყურადღებოდ, რამდენათაც ისინი წარმოადგენენ ყბად ასიღებ წვალ წასალებ საკმილო სასაცილო მასალებს. სხვაფერ ყველა მათში ერთ გაცვეთილ გროშსაც არ მისცემს საგასურათ ტარტაროზი.

მით უმეტეს არავითარი ღირებულება არ ექნება იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ჩვენი ცხოვრების

*) თვით ტარტაროზს წერა-კითხვა შესწავლილი აქვს ერთ დიაკონთან, რომელიც ზამთრის ცივ ფილაობით (ზაფხულში არც ბას ეცალა და არც მის მოწაფეებს სწავლისათვის) ლერეფანში აძლევდა ბაკეფილებს ძროხის ბეჭის ძვალზე.

*) იქნებ ბევრს აღარ ახსოვდეთ, თუ რას ქვია ბონები. მოგაგონებთ, რომ ეს ის ქაღალდებია, რომლებიც იხეტდებოდნენ და ფულის მაგიერობას ჩემობდნენ ნამდვილ ოქროსა და ვერცხლის ფულების გამოშვებამდი.

წერილმან და სხვილმან საკითხებს თუ არ მიუდგებიან საობუნჯო მსოფლმხედველობით.

ამიტომ თანამშრომლებმა უნდა სწერონ ობუნჯური კილოთი, რათა მკითხველებში გამოიწვიონ ღიმილი (სტრიქონი ოთხი კაპეიკი), სიცილი (სტრიქონი ერთი შაური), ხარხარი (სტრიქონი ექვსი კაპეიკი).

თანამშრომლებს შეუძლიათ აგრეთვე გამოიგონონ კარიკატურების თემა, დაწვრილებით აწერონ, თუ როგორ უნდა იყოს დახატული ესა თუ ის კარიკატურა, რომლების შესრულებას „ტარტაროზი" მიანდობს თავის კარიკატურისტ-მხატვრებს.

თანამშრომლებმა თავიანთი ნაწარმოები რამდენჯერმე უნდა გადაიკითხონ, გადააკეთონ და კიდევ გადაიკითხონ და ეს განმეორონ იმდენჯერ, სანამ სრული კმაყოფილი არ იქნებიან თითონ თავიანთი ნაწარმოებით. სიჩქარე და სიზარმაცე საზოგადოდ არსად არ ვარგა, მით უმეტეს ხელოვნებაში. უკანასკნელ ერთხელ კიდევ უნდა გადაიკითხონ და წუთს წარმოიდგინონ თავიანთი თავი გარეშე მკითხველად: როგორ მოექცეოდენ ისინი, იმ შემთხვევაში, რომ ეს ნაწარმოები სხვისი ყოფილიყო და მათ წაეკითხთ „ტარტაროზში",—გაიკინებდენ თუ არა.

ასეთი ყოველი მხრივი დამუშავების შემდეგ თანამშრომლებს თამამად შეუძლიათ ჩასდვან კონვერტში თავიანთი ნაწარმოები, დააკრან მარკა, დაწერონ მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქუჩა, სახლი № 24, „ტარტაროზი"-ს რედაქცია—და გულდამშვიდებით უცადონ მორიგი ნომრის გამოსვლას, რომელშიდაც იხილავენ თავიანთ ქკუამახვილობის ნაყოფს.

თავი IV და უკანასკნელი.

ტარტაროზის მოვალეობას შეადგენს მიღებული მასალები გადასინჯოს, გაარჩიოს კარგი ავისაგან, შესაკეთებელი შეაკეთოს, გადასაკეთებელი გადააკეთოს, გადასაგდები გადაგდოს მოურიდებლად. მის მიერ მოწონებული და მიღებული მასალები გგზავნოს სტამბაში ასაწყობად.

ასოთ-ამწყობების მოვალეობას შეადგენს ამ მასალების სწრაფად და კოხტად აწყობა, რაც შეიძლება ნაკლები შეცდომებით.

აწყობილი მასალები კორექტორმა უნდა გულდასმით წაიკითხოს და შეცდომები გაასწოროს.

მენტრაპაჟმა გვერდები უნდა შეკრას მასალების მიზანშეწონილად თავთავიანთ ალაგას განაწილებით, რაზედაც მას ეხმარება გამომშვებელი.

მბეჭდავებმა უნდა კარგად გაასუფთაონ ვალიკები, საუკეთესო საღებავი ჩაასხან მანქანაში და მხატვრული გემოვნებით გამართონ „ტარტაროზი"-ს გვერდები საბეჭდავად.

მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დაშვებული იქნეს სიჩქარე ქალალდის დამწყობისა და დამკეცავების მიერ, რადგან „ტარტაროზი"-ს გამოსვლის დრო მოახლოებულია და რამდენიმე ათასი მკითხველები მოუთმენლად ელოდებიან მას.

ტარტაროზი.

„დანოსი"

ლიუბეზნი ბრატ ტარტაროზჯან!

ზრასტვეი გასპადინ ტოვარიშ. ელლაიმ ვსიო ხოროშა ტვოი ჟიზნი.

ია ელლიომ სკაზათ ტებე ადინ სურიოზნი ოჩენ დელა ჩერეზ ეტი პისმო... ლიუბეზნი დრუგ, ია დუმაი სერჩატ ნე ბუდიშ ნა ტვოი ბედნი ბრატ პოლოს წიწმატიანც, მოი ლასტოჩკა...

ია უზნალ, ჩტო ტი ტეპერ ადინ ბოლშოი პოდრაჩიკ ტიფლისუ ი ელლუდიკ ატპრავლაიშ ბეზ პერესადკი ესე პუზატი ობშესტვა. ია ბაჩუ ბიტ ტვოი ტაინი შპინო. სტარი ვრემია ია სტო ტრისტა დვაცად რევოლიუციონერ ულანჩი სდელაიტ ტიფლისუ. ტეპერ წვანრლ პრადავაიტ ნა ვირტაჩკ პროტივ ელლეზნი დოროგენ უპრავლენია და კაკდი დენ უბიტკა ესტ თელეთის მადლმა.

სტატისტის სლუჟები ზნაიშ? ტამ ადინ მოი სტარი კოლეგა ესტ, არშაკ ლიპიანც. ონ ნაჩალნიკ ესტ, სემნაციტ პუდოვ ვესიტ; ერონ ოჩენ, კაკ ტუშინკი ბარაშკა.

დალში—და იცი რა გითხრა... გოვარიატ უ უპრავლენია ნაციონალიზაცია ესტ; ტოისტ—კანალიზაცია. (ზაპამინაიტი ვერ უყავი) გრუზინცკი იაზიკ ნე პროვედით თერმე რა... ადინ სტატისტიკ მენე სკაზალ, რომელიც კაჯდი დენ უ მენია რედისკ პაკუპაიტ, ჩტო ნაშ არშაკ ნი ელლიტ პრავედიტ გრუზინცკი იაზიკ.

ბრატ ტარტაროზჯან! ია უზნალ ეტო ი ნაპისალ ტებე. აკიდაიმ ტვოი რისპარიკენია; პრაშუ ატპუსტიტ ტვოი ბლალაროდნი ელლუდკაში ნაში არშაკ ი ტვოემუ ბედნი პოლოსუ დაკი ნიმნოკკა ზა ტრუდ ვაზნაგრაჟდენია. ია ტაკოი სკედენია ბუდუ დასტაველიტ ტებე იზ უპრავლენია.

ტიპერ დოსვიდანია. ვირტაჩკ მზვანლით აკიდაიტ. ბრიტსკი პრივეტ მოი დუშკა.

ტვოი პოლოს წიწმატიანც.

ტიფლის გოროდი.

ტარტაროზის ფეხი

ახმეტელი: კოტე! ს�d ალარ ძალმიძს. .
ხომ ხეხავ დავიღალე!
სად მიმათრევ ულონოს,—
გამიშვი, გენაცვალე.

კოტე: დაიცა ცოტა კიდევ
და აგიყვან მწვერვალზე...
შენ ხარ მოწოდებული
ამ ღირსეულ დიდ ვალზე.

უიღბლო მუშკორი

„მუშკორების დეენა გრძელდება“
(გაზეთებიდან)

(ღიღინებს, თუმცა საღიღინებელი რა აქვს)

დაბადების წუთებიდან წყეულო,
თავო ჩემო, ბედი არ გიწერია...
თავიდანვე პატრონსავით უიღბლოვ,
ნანგოვ ჩემო, ეშმით არ გიეღერია...

რაღაც ბედით ხელთ აიღე კალამი;
უწინ პწკარიც არც კი დამიწერია ..
ვერ მოვასწარ დაბეჭდილის წაკითხვა,
ისე სწრაფად გადმიპირეს ჟერია...

აბზეინად ჩემს საქმეზე ვიყავ.
როს შემოჯდა მუშკორობის მწერია;
დავსწერე და მსწრაფლ ამომკრეს პანღური
უმოშეენართ მოეშატათ წერია...

და დავდიარ ქუჩა-ქუჩა უსაქმოდ,
იქნებ ვნახო რამე დასაწერია;
სამსახურის უშედეგოდ ძებნაში
გამოთვალეთ ულვაში, წვერია...

რა ექნა ეხლა, გადაეარდე ხიდიდან,
თუ სჯობს დანით გამოიკრა ყელია...—
ზოგისათვის ეს ცხოვრება ქვა არის,
და ზოგისთვის კიდევ ქყინტი ყველია...

მაგრამ თავს ეიმხნევებ და ეამბობ:
ბოლოს შენაც დაგელევა მღერია,
ვინც ამოგკრა უმოწყალოდ პანღური—
მისიც მოვა უსათუოდ ჯერია!..

(შეამჩნევეს რეზინოტრესტისან 'ვალოშებისთვის შვიდვერსიან კუდს ? და მტკერისენ გაშურების მაგიერ, სახეგაბრწყინვებული შუუდგება რაღაცაზე ფიქრს).

ს.

ავტოგიოგრაფია

დავიბადე აღმოსავლეთის ნახევარ სფეროზე, დასავლეთ საკართველოს აღმოსავლეთით, სადგ. მარელისიდან სამხრეთ-დასავლეთით.

ნიკი თავიდანვე მეტყობოდა. ღილით რომ სამ ბატს მომაბარებდენ სამწყესავად, საღამოს ოთხს დავკარგავდი. (მეოთხე მე ვიყავი).

ერთ ბედნიერ დღეს მომანდვეს სახლის თვალყურის დევნება, რომ ქურდს შიგ არაფერი შეეტანა. (გამოტანით რას გამოიტანდა, როცა შიგ არაფერი იყო). მე ამხანაგებთან გავერთე თამაშში. თურმე მაკავარიანის ღორი ჩამოვიდა; დაუწყო სახლის კედელს ვვერღით ხახუნი ნიკო ტაბატაძის მუნიან ცხენივით და სახლის კარი ჩამოაგდო.

ამისათვის მაძა ჩემმა დახეულ-დაგლეჯილი, როგორც შორაპნის მაზრის სამხედრო კომისრის თანაშემწეს პორთფელი, ეზოდან გადმომაგდო; მეც ავდექი და წამოვედი. სადგურისკენ გზაზე შემხვდა მამასახლისი რომელიც ტრაბახობდა, რომ გლეხებს მდინარეზე ხიდი გაადებინა. მეც მოუწონე და გზას გაუდექი, მაგრამ ახალ ხიდზე „ნაჩალნიკის“ თხას გაესეირნებია და ხიდი წყალში ჩაეგდო. დაებრუნდი უკანვე და უცადე ცამეტი თვე, მინამ წყალი დაიკლებდა. (ხიდი ეხლაც გაუკეთებელია, მიუხედავად იმისა, რომ მას შემდეგ მესამე მთავრობა არის). ჩემი სიყოჩაღე ყოველთვის და მარად თან მახლდა. ტარიელისებური გმირობა მე მენშევიკების დროს სალდათობაში დავამტკიცე მრავალჯერ. (ერთხელ თვეს ზენის ვეარაულობდი, კატამ შემიშინა და თოფი გავიგდე).

რამდენიც მე ჯილდოთ „პოდ-რუკიეობ“ მიმიღია, იმდენს თქვენ ქალსაც ვერ ნახავთ შ. გეზელაშვილთან მოსეირნეს, თუ გინდ მთელი დღე რუსთველის პროსპექტზე დაალმოთ.

რუსის ბარაბანსაც არ მოხენია იმდენი, რამდენიც მე, მაგრამ გაჩუმებული ვიყავი ქალაქის სამეჩოს წევრივით.

ბოლოს ამასაც მოელო ბოლო და ერთ უბედურ დღეს „კაბინეტში“ წიმომასკუპეს. დავქანაობ აქეთ-იქით ლეგიონის ფაიტონივით და დავდივარ გიქმოული ლეგიონის ექიმსავით.

რაც შეეხება მუშობას, ჩემსავით არც „ნარსეიაზის“ საათი *) მუშობს.

ჩესმაგუშალა.

*) „ტარტაროზი“-ს პირდაპირ რომ არის პოლიციონელ ვარსკვლავსავით გაჩერებულ-დგომული.

ᲘᲔᲠᲘᲨᲘ

მოდის ლაშქარი, წინ უძღვით:
ნიშა, ლომა და ნიკორა;—
ისე სთელავენ გზებსა, რომ
თითქოს აქ არა იყო-რა!..

მოდიან, უპატრონონი,—
გამოცდილები მრძოლაში
და უწყალო რიყე ვერ უძლებს,—
შიშისგან მოდის ძრწოლაში!..

„ᲓᲣᲠᲣᲯᲔᲚᲔᲑᲘ“: რათ დაშრი ჩვენო დურუჯო,—
რაზე დაგვტოვე ველადა?
კამეჩებს როგორ გავუძლოთ,—
მოდიან საბრძოლველადა!..

გაზაფხულობით ხომ იცი:
ნგრევა, წალეკვა, შხუილი;
ისე გვინდოდა ჩვენც, მაგრამ,
გამოგვივიდა ტყუილი!..

დაიხრაზო „გმირი“, „ლატავრა“;—
და დაშრა „მალშტრემ“, „ცხერის-
წყარო“;

ᲙᲝᲢᲔ:

ყველა გაგვექცა... კოტეჯან,
შენ მაინც რამე გვითხარო!..

ნუ გეშინიათ—ვიდრე მე
თქვენთან ვარ ჩემო ზაქებო;—
უკან დაიწით, ყოველგან
სალტო მორტალით ნაქებნო!..

და ახალ პოზიციებზე
გამაგრდით კინოს მახვილით;—
რომ მარსიც გადმოყირავდეს
თქვენი ელვარე ძახილით!..

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ „ᲛᲘᲠᲒᲝᲠᲝᲚᲓᲘ“.

Ჯ. სამტრედიის რკ. გზ. ნაწილმა თავისი სიმშვენიერით და სილამაზით გადააჭარბა გოგოლის „მირგოროლს“...

მართალია, გოგოლის „მირგოროლში“ ელექტრონის განათება არ ყოფილა, მაგრამ ეს გარამოება სამტრედიის სრულიად არ უშლის ხელს იყოს ხსენებულ ქალაქზე უმფრო კოპწია და კოხტა!..

ელექტრონის სადგურისათვის სასწავლელის შენობა დაიკავეს:

ამა, „მირგოროლში“ როდის იყო ერთის მეტი სკოლაო!.. რა საჭიროა აქ ორი-ს

ფლად დანავარდობენ არა მარტო ქუჩებში, არამედ მეორე სართულებზედაც!..

მოსალოდნელია „მორგორროდის“ ამბავის განმეორება: ღორმა რომ სასამართლოდან თხოვნის ქაღალდი გაიტაცა!..

ჩვენი საბინაო კომისია იოლად სჭრის ბინის საკითხს. თურმე მას ორზე ზევით თვლა არ სცოდნია: ერთ პიროვნებას ეძლევა ორი ოთახი, ორსაც—ორი, სამს, ოთხს... ათს ისევ ორი!... ერთ ბოკკაში თუ ათასობით ეტევა ტარანი, რატომ არ შეიძლება ორ პატარა ოთახში მოთავსდეს ათი სულიო!...

კარგი დაგემართოს! სცადოს ეს თვით საბინაო კომისიის წევრებმა!..

ვან—კა.

„დეკლარაცია“.

როგორც ყველგან, ისე საქართველოშიც არსებობს „არშიყთა პარტია“. ამ პარტიას თავისი ძველი კონსერვატორული სახე ჯერაც გამოუცვლელი აქვს; ვერ შეუფარდა თავისი ტაქტიკა სინამდვილეს. არშიყთა პარტია მრავალ ფარულ გამოსვლებს აწყობდა და დღესაც აწყობს. ამიტომ ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი ყველას გასაგონათ ვაქვეყნებთ შემდეგ „დეკლარაციას“:

ამხანაგებო! საუკუნოებით დაითვლება ის დრო, რომლის განმავლობაშიც ჩვენ ვმუშაობთ „არშიყთა პარტიაში“ და მრავალი წვლილი შეგვიტანია მისი გაუმჯობესებაში. არც ერთი აშკარა ნაბიჯი ამ პარტიაში მუშაობის დროს ჩვენ არ გადაგვიდგამს. ვმუშაობდით ფარულათ, არალეგალურათ, სადმე ბნელ კუთხეში, მინდორში. მიუხედავათ რეპრესიებისა ჩვენ იმ დარგში მუშაობა მაინც არ მიგვიტოვენია, თუმცა ძალიან ძნელი იყო. ალარაფერი გაკეთდა პროგრესიულ არშიყობის ასპარეზზე.

ამხანაგებო! ასეთი მუშაობა არ ვარგა! ბრმა იქნება ის ვინაც მდგომარეობას ანგარიშს არ გაუწევს და კიდევ გაგრძელებს ფარულ მუშაობას. ჩვენ გამოვდივართ და ვაცხადებთ ყველას გასაგონად, რომ ამიერიდან ვტოვებთ არალეგალურ ანუ ფარულ არშიყობას და გადავდივართ ლეგალურ, ანუ აშკარა არშიყობაზე.

მოუწოდებთ ყველას, ვისაც უნარი აქვს გარემოების შეფასებისა, შეეუერთდეს ამ დეკლარაციას და თავისი დაკოკრებული ბაგენით გადასძახოს ქვეყანას ჩვენთან ერთათ:

სალამი ახალ გზაზე დამდგარ „არშიყთა პარტიას“.

ძირს ფარული არალეგალური არშიყობა.

ხაშურის მოარშიყეთა ბიუროს წევრნი:

ვაჟნი: პროშტი, პრუშტი, ფოთიალა, ბოლოზუნა, არშიყა, ფათურა, კოცუნა და სხ.

ქალნი: უარინკა, უპრუშტინკა, უპროშტნიკა, არაფოთა, არკოცუნა, უარშიყა და სხ.

ხაშურელი „შმაილა“



ბეეტლი. ვაჰ! არ წაგიკითხავს სუხიშვილის დადგენილება ჩვენს შესახებ?

— ნეტავი ისეთი რა დადგენილება გამოვეცი!!!

— ჩამწერეთ სპარტაკში, რომ დავიბრუნო ახალგაზრდობის ჯანი და ამ ყინვებს თქვენსავით არიფრად ვაგდებდე...

სპარტაკელი. ეჰ!!!

მოწერილი ამგვეგი

ს. შორაპანი.

— შორაპანის რკ. გზ. მთლიანი შრომის სკოლის მასწავლებელთა კრებამ (ჭარბობდა დედათა სქესი) თავიანთ საიდუმლო სხდომაზე გადასწყვიტეს შემოიღონ მოწაფეთათვის ღვინის სმის მეთოდი. პირველად ცდა თავიანთ თავზე გაეკეთეს ერთ-ერთ მასწავლებლის ოთახში, სადაც ნოეს ტაბილმა წვენმა აპიკეცია მასწავლებელი ქალები.

აქედან ასეთი დასკვნა გამოიყვანეს, რომ—თუ გინდათ მოწაფე ქალ-ვაჟნი ერთმანეთს დაუახლოვოთ, აუცილებლათ ეს მეთოდი უნდა იქნეს შემოღებული.

(ბოლოს ერთმანეთის დაშორების დროს ნოეს ტაბილმა წვენმა „იმასკნა“).

— ერთი საკვირველი ანბავი ხდება შორაპანში: როცა ღამდება უშველებელი ციცინათლები ჩნდებიან ხოლმე ჰაერში (გასაკვირია ამ ზამთარში). ამ ციცინათელებს მხოლოდ ერთგვარი სენი სჭირთ: მთელს ღამეში ერთხელ ან ორჯერ გაანათებენ და შემდეგ ისევ ეძლევიან ტაბილ მოსენებას.

ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ეს ციცინათლები ელექტრონის განათება არისო.

— ვისაც თამბაქოს ფული არ გაქვთ—იჩქარეთ შორაპანის რკ. გზის მუშათა კლუბში, სადაც წარმოდგენის დროს ყველას ნება ეძლევა იყნოსოს თამბაქოს ბოლი უფასოდ.

— შორაპანის რკ. გზ. სცენის მოყვარეებმა ერთ-ერთ თავიანთ კრებაზე დაადგინეს: „ვინაიდგან პარიკის ლაქი და გრიმი სახეს აფუჭებს, ამიტომ ამიერიდან პარიკები იქნეს სახეზე აკრული ძაფებით და სახეც შეთეთრებული 1-ლ ხარისხოვან კანდის პურის ფქვილით, რომელიც ერთგვარ სარგებლობას მოუტანს ფინანსიური მხრივ კლუბის გამგეობას. აგრეთვე კრეპეს მაგივრად შემოღებულ იქნეს სიმინდის ულვაშები. გამოიყო კომისია, რომელმაც უკვე შეიძინა ორი გირვანქა თეთრი შპაკატ ძაფი, სამი გირვანქა სიმინდის ულვაშები და 10 გირკანდის ფქვილი.

წყეულნ.

ფოთი.

ადგილობრივ მწონავებს: აბაკელიას და ფანცულაიას დათრობის შემდეგ ჩხუბი მოუვიდა ბოთლებთან და წილად ხვდათ ბრწყინვალე გამარჯვება, გამარჯვებული აბაკელია შეეყარდა ღამის 12 საათზე სადგურში და მძინარე ხალხს აცნობა თავისი გმირობა.

ორივე მეგობრებმა სადღაც იშოვეს ერთი ბოთლი ღვინო და სადგურში მყოფნი გამოიწვიეს ბრძოლაში. ხაზოგადოება იძულებული გახდა უკან დახია და დაეცალა სადგურის დარბაზი.

?

გორი.

მუშკოპს და მიკიტნებს შორის დიდი ხანია სწარმოებს სასტიკი ბრძოლა. პირველ ხანებში მუშკოპს ღმერთი სწყალობდა, რადგან ძლიერი ბანაკი ჰყავდა, მაგრამ ბედმა უმტყუნა, როცა მის წრეებში არეულ-დარეული მოხდა. ამით ისარგებლა მოწინააღმდეგემ და გადავიდა შეტევაზე.

ამ ეამად მუშკოპს ეხმარებიან წითელი მეთაურები და მუშა-მოხელეთა $^1/_6$ პროცენტი, ხოლო მიკიტნებს—მთელი ქალაქი.

მუშკოპი ნელ-ნელა მარცხდება, მაგრამ გულს იმაგრებს სიმფონიური ორკესტრით.

მთავარი შტაბი იტყობინება, რომ: თუ ტარტაროზი დახმარებას არ გაუგზავნის—მიკიტნები გაიმარჯვებს.

ინჩხაბარე.

დ. მარტვილი. ადგილობრივ საბჭოთა აფთიაქის გამგეს მეტად შესტკივა გული სახელმწიფო ქონებაზე: ამიტომ იგი რეცეპტში აღნიშნულ წამლებს აკლებს რამოდენიმე თავ წამალს და მის მაგივრად წყლით ამხვევიელებს. ასე იქცევა იგი „მუქთ“ მუშტრებზე (პროფკავშირის წევრებზე). სიღი წამლის მიღება მისგან შეუძლია მხოლოდ ძმაბიქებს და კარგ მეგობრებს.

იქიდანვე. რაიაღმასკომმა წინადადება მისცა ყველა დაწესებულებებს, რომ შობას მუშაობა და საქმის წარმოება შეეწყვიტათ. აუკრძალა ეპოს ამ დღეებში ვაპრობის წარმოება, რომ ამით პატივი ეცა კერძო ვაპრების ჯიბეებისა და მადისათვის. თვით რაიაღმასკომის თავმჯდომარე და მისი თანა-

შემწე ცნობილ რესტორან „ბალოტო“-ში ზეიმით შეხვედენ დღესასწაულს, მათ გარშემო თავი მოიყარეს 15—20-მდე მოქეიფე მოხალისეებმა, რომლებიც „საბჭოთა პლატფორმაზე“ დგანან, რადგან „შობა“ ახალი სტილით იდღესასწაულეს. პირველი სადღეგრძელო მიუძღვნეს მუშურ-გლეხურ მთავრობას, რომელმაც ახალი სტილით შემოიღო შობა. საღამოს 6 საათზე გაყინულ ბაზარს ახმაურებდა მხოლოდ მოქეიფეთა საშინელი ღრიალი და უშნო საქციელი.

„ცქვიტი“.



მასწავლებელთა ყრილობაზე.

— ...უცებად შუა დარბაზში იფეთქა რაღაცამ. ყველას შიშის ზარი დაეცა თავს და მიიმალენ. ვიღაცამ დაიძახა: მენშევიკებმა აგვაფეთქესო.

— აბა ვისი მოწყობილი იქნებოდა თუ იცი?

— მე მგონია ჩვენდა შესაშინებლად თ... მთავრობამ მოაწყო.

— მთავრობას რად სპეროდა ჩვენი შეშინება?

— ჯამაგირის მომატება რომ არ მოგვეთხოვა.

— აჰა... მართლაც რომ ასე იქნებოდა...

ჩვენი ფოსტა

ყობოს. (ოჩემჩირე) ტარტაროზმა დაკმაყოფილა თქვენი განცხადება. მაგ რაიონში დანიშნული ხართ მის აგენტად. გევალებათ კარგი საკბილონის გამოგზავნა.

„ლამაზ ბიუს“ (ფოთი) რა დროს მაპარია ეხლა.

ს. სტუდენტს. თქვენი გასაპირი ასე თავდება:

„რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე,
რით გამოვკვებო თავია?
ამ დასაქცევმა სიმშილმა
ლამის მომიღოს ბოლოა“...

სოლომონის პადიში უნდა იყოთ. დაეთხოვეთ თავისთავზე წერას. იქნებ უფრო გაუმჯობესდეს თქვენი მდგომარეობა, სცადეთ სხვებზე.

„სტრეკოზას“. მოსე ფერშალს თუ ჯიბეში აქვს აფრიკაკი გახსნილი, ხუშტური რა შუაშია აქ? მთგვაწოდეთ უფრო „მძიმე“ და ვრცელი საბუთები და მერე მოვათავსებთ.

დევს. (ახალციხე) თქვენი წერილი მივიღეთ ხელმოუწერელად და ამიტომ არ ვბეჭდავთ. მოგვაწოდეთ კიდევ და გვაცნობეთ თქვენი ვინაობა.

სუფხელ ათოსიანს. „ყოველივე შესწორებისა“ შემდეგ აღარაფერი დარჩა თქვენს წერილში.

მათუსალას. მეტტვირული დაგვიანდა. მოგვაწოდეთ სხვა უკეთესად დამუშავებული.

„თ. მაშხალას“. ტარტაროზმა ახალი სტილით გაითვლა ახალი წელი და ამიტომ თქვენი საახალწლო საჩუქრები დაგვიანებულია.

რედაქციისაგან: ტეხნიკური დაბრკოლების გამო გაზ. „მუშა“-ს ორკვირეული უფასო დამატება „ტარტაროზი“-ს დღევანდელი ნომერი გამოდის 8 გვერდი.

შემდეგი ნომერი გამოვა გადიდებულ ფორმატით 16 გვერდი.

პასუხისმგებელი რედაქტორი სარედაქციო კოლეგია

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრ. ტრესტ. 1-ლი სტამბა, პლეხ. № 91. მთავარლიტ. № 60. შეკ. № 2015. ტირაჟი 10.000.